ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5124572

ნომერი: AR1776114

თარიღი : 25.09.2020

გაცემის თარიღი : 30.09.2020

გაცნობის თარიღი : 01.10.2020

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიდი დიღომი , III მ/რ კორ. N34, N37-ის მიმდებარედ. ; ქალაქი თბილისი , დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34);

დამკვეთი-განმცხადებელი

- აბანობ სამერ სამი შაფიკ პ/ნ 01191023206
- ქ.თბილისი დიდი დიღომი მირიან მეფის 101

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2020 წლის 25 სექტემბრის AR1776114 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს: 18.01.2017 წ. №3033996 ბრძანებით მიწის ნაკვეთზე მდებარე: დასახლება დიდი დიღომი , მიკრო/რაიონი III , კორპუსი N37-ის მიმდებარედ , (ნაკვეთი N5/34) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: # 01.10.08.005.034) (1602 კვ.მ) მრავალფუნქციური შენობის მშენებლობის მიზნით, დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 თებერვლის #1-400 ბრძანებით ქალაქი თბილისი, დიდი დიღმის დასახლება III მ/რ #37 კორპუსის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.10.08.005.034; 1602 კვ.მ) მრავალფუნქციური შენობის განთავსების მიზნით, განაშენიანების კოეფიციენტის (კ1) და განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვრა : კ1=0,7 და კ2=5,2. აქედან გამომდინარე, საჭიროა თავდაპირველად განხორციელდეს აღნიშნულ ბრძნებაში ცვლილების შეტანა. რისთვისაც, უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს და განაცხადი ატვირთოთ ოფიციალურ პორტალზე - Urban.tbilisi.gov.ge, შესაბამის ნომენკლატურაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.